





თომას პინჩონი

# ლოტ 49-ის გამოცხადება

ამერიკელი | დიუნუნი

თომას პინჩონი  
ლოტ 49-ის ბამოცხადება

Thomas Pynchon  
THE CRYING OF LOT 49



Funded through the Book Translation Program,  
U.S. Embassy in Georgia.



დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს  
ნიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში.

მთარგმნელი თამარ ლომიძე  
რედაქტორი ირმა ტაველიძე

სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია  
დიზაინერი ნინო გურული

© 1965, 1966, 1993 by Thomas Pynchon  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013  
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2233-3789

ISBN 978-9941-11-418-2

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ჯერომ სელინჯერის შემდეგ თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში თომას პინჩონი ყველაზე ცნობილი განდევილია. პინჩონის არცერთ ნიგნს – ავტორის ნების შესაბამისად – არ ახლავს მისი ფოტო. უკვე წლებია, ჟურნალისტები უშედეგოდ ცდილობენ მისგან ინტერვიუს აღებას ან მის პირად ცხოვრებაზე მეტ-ნაკლებად სანდო ინფორმაციის მოპოვებას. მწერლის შესახებ დანამდვილებით ცნობილია, რომ 1937 წელს დაიბადა, მსახურობდა სამხედრო ფლოტში, სწავლობდა კორნელის უნივერსიტეტში, მუშაობდა კომპანია „ბონინგში“, არის შვიდი რომანის ავტორი.

„ლოტ 49-ის გამოცხადება“ – რომანი, რომელიც პოსტმოდერნისტული ლიტერატურის შედევრად ითვლება და კალიფორნიელი დიასახლისის თავს გადამხდარი უცნაური ამბავია – პინჩონის მეორე, 1966 წელს გამოცემული ნიგნია.



**ლოტ 49-ის გამოცხადება**





# I

აფხულის ერთ სალამოს ტაპერვეარის<sup>1</sup> წვეულებიდან (რომლის დიასახლისმაც, როგორც ჩანს, ზომაზე მეტი კირში<sup>2</sup> ჩაასხა ფონდიუში<sup>3</sup>) შინ დაბრუნებულმა მისი ოიდიპა მაასმა შეიტყო, რომ პირს ინვერერიტის ქონების განმკარგველად დაენიშნათ. ინვერერიტიმ – უძრავი ქონებით მოვაჭრე კალიფორნიელმა მაგნატმა – ერთხელ, მოცლილობის ჟამს, ორი მილიონი დოლარი გაფლანგა, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი და იმდენად არეულ-დარეული ქონება დატოვა, რომ მისი მონესრიგება უალრესად საპატიო საქმე გახლდათ. ოიდიპა სასტუმრო ოთახში იდგა, ტელევიზორის უსიცოცხლო მწვანე თვალს უყურებდა და ღმერთს უხმობდა, თან ცდილობდა, თავი, რაც შეიძლება, მთვრალად ეგრძნო. ამან არ უშველა. გაახსენდა სასტუმროს ნომერი მასატლანის<sup>4</sup> სასტუმროში, რომლის კარიც თითქოს სამუდამოდ გაჯახუნდა და ვესტი-

---

<sup>1</sup> სარეკლამო ღონისძიება, რომლის დროსაც სტუმრები ყიდულობენ სხვადასხვაგვარ წვრილმან ნივთებს, წვეულების მასპინძლები კი იღებენ ამონაგები თანხის ნაწილს.

<sup>2</sup> ალუბლის ბრენდი.

<sup>3</sup> ნადნობი ყველი ღვინით.

<sup>4</sup> ქალაქი მექსიკაში.

ბიულში ორასამდე ფრინველი დააფრთხო; მზის ამოსვლა კორნელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თავზე, რასაც ვერავინ ხედავდა, რადგან ბიბლიოთეკა დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს; ნელი, სევდიანი მელოდია ბარტოკის საორკესტრო კონცერტის მეოთხე ნაწილიდან; ჯეი გულდის თეთრი ბიუსტი, რომელიც პირსის სანოლთან იდგა იმდენად ვიწრო თაროზე, რომ ოიდიპას ყოველთვის ეშინოდა, თავზე არ დაგვეცესო. იქნებ პირსი მისმა ერთადერთმა ქანდაკებამ გასრისა? ქალს ხმამალა და უმწეოდ გაეცინა. ავად ხარ, ოიდიპა, – უთხრა საკუთარ თავს, ან შესაძლოა – ოთახს. ვინ იცის...

წერილი უორპის, უისტფულის, კუბირეკისა და მაკმინგუსის იურიდიულ ფირმას გამოეგზავნა ლოს-ანჯელესიდან, ვინმე მეცგერის ხელმოწერით. მასში ეწერა, რომ პირსი გაზაფხულზე გარდაიცვალა, ანდერძი კი მხოლოდ ახლა იპოვეს. მეცგერს უნდა ემოქმედა, როგორც ანდერძის თანააღმასრულებელსა და საგანგებო მრჩეველს ნებისმიერი სასამართლო განხილვის შემთხვევაში. ოიდიპა ანდერძის აღმასრულებლად დასახელებული იყო ერთი წლის წინანდელ მინაწერშიც. ქალი ცდილობდა, გაეხსენებინა, რაიმე უჩვეულო ხომ არ მოხდა ამ პერიოდში. მთელი საღამოს განმავლობაში, როდესაც კინერეტი-ემანგ-ზი-ფაინზის<sup>5</sup> ბაზარში რიკოტას<sup>6</sup> საყიდლად დადიოდა და მუსიკას უსმენდა (მძივებისგან ასხმულ ფარდაში გაიარა ვივალდის კონცერტის მეოთხე ტაქტზე; ანსამბლი „ფორტ უეინ სეტერენტო“<sup>7</sup>, სოლისტი ბოიდ ბივერი); როდე-

---

<sup>5</sup> კინერეტი – გამოგონილი ქალაქი, რომელშიც ოიდიპა მასი ცხოვრობს; სიტყვასიტყვით: კინერეტი ფიჭვებში.

<sup>6</sup> იტალიური ყველი.

<sup>7</sup> ფორტი უეინი – ქალაქი ინდიანას შტატში. სეტერენტო – მე-18 საუკუნე (იტალ.).

საც მაიორანსა და რეჰანს კრეფდა ბოსტანში და წიგნების მიმოხილვას კითხულობდა „საინთიფიკ ემერიკენის“ ბოლო ნომერში; როდესაც ლაზანიას ამზადებდა, პურზე ნიორს უსვამდა, სალათის ფოთლებს გლეჯდა და ბოლოს, როდესაც კერძს აცხელებდა და სალამოსთვის კოქტეილს აზავებდა ქმრის, უენდელ (მეტსახელად „მუჩო“) მასის სამსახურიდან დაბრუნების დროისთვის, ის განუწყვეტლივ იხსენებდა. იხსენებდა მოვლენებით გაჯერებულ, მეტ-ნაკლებად ერთფეროვან (ნუთუ ეს პირველმა შეამჩნია?), მეფოკუსის ბანქოს ქალაღებზე იდნავ შესამჩნევად მონიშნულ დღეებს, რომელთა განსხვავებულობას მხოლოდ გამოცდილი თვალი თუ შეამჩნევდა. ასე იტანჯებოდა ოიდიპა ჰანტლისა და ბრინკლის ტელემოუს შუამდე, ბოლოს კი მოაგონდა, რომ შარშან, დაახლოებით დილის სამ საათზე, საერთაშორისო სატელეფონო გამოძახების ზარი გაისმა – ის ვერასოდეს გაიგებს, საიდან (თუკი პირსმა დღიური არ დატოვა). თავდაპირველად თანამოსაუბრემ მკვეთრი სლავური კილოთი უთხრა, ტრანსილვანიის საკონსულოს მეორე მდივანი ვარ და გაფრენილ ღამურას ვეძებო; კომიკური ზანგური კილოთი ალაპარაკდა, შემდეგ კი პაჩუჩოს<sup>8</sup> აგრესიულ დიალექტზე გადავიდა და ბევრჯერ ახსენა ჩინგები<sup>9</sup> და მარიკონები<sup>10</sup>. გესტაპოს ოფიცირით ყვირილით ჰკითხა, ხომ არ ჰყავდა ნათესავები გერმანიაში და ბოლოს ლამონტ კრანსტონის<sup>11</sup> ხმით ალაპარაკდა, რომლითაც პირსი ესაუბრებოდა ხოლმე მასატლანში ყოფნის დროს.

---

<sup>8</sup> ახალგაზრდა მექსიკელი ემიგრანტი, ხშირად – ქუჩის ბანდის წევრი.

<sup>9</sup> მამაკაცის სასქესო ორგანო (ესპ.).

<sup>10</sup> ჰომოსექსუალი (ესპ.).

<sup>11</sup> პოპულარული დეტექტიური რადიოსერიალის, „აჩრდილის“ (1934) გმირი.

– პირს, გენაცვალე, – უთხრა ოიდიპამ, – მეგონა, რომ ჩვენ...  
– მარგო, – სერიოზული კილოთი უპასუხა კაცმა, – ეს-  
ესაა, კომისარ უესტონისგან მოვედი. ის ბებერი იმავე იარა-  
ღით მოკლეს საგიჟეში, რომლითაც პროფესორი ქვექენბუში  
გამოასალმეს სიცოცხლეს.

მან ბევრი ამგვარი რამ წამოროშა.

– გეყოფა, – სთხოვა ოიდიპამ.

წამონოლილი მუჩო გადმობრუნდა და ცოლს მიაშტერდა,  
შემდეგ კი გონივრულად შესთავაზა:

– ყურმილი დაუკიდე!

– გავიგონე, – უთხრა პირსმა, – ვფიქრობ, ის დროა, რო-  
დესაც უენდელ მაასს აჩრდილი უნდა ესტუმროს.

ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი სიჩუმე ჩამოვარდა. მა-  
შინ ოიდიპამ უკანასკნელად გაიგონა პირსის ხმა. ლამონტ  
კრანსტონის ხმა. სატელეფონო ხაზი შეიძლებოდა ნებისმიე-  
რი მიმართულებისა და ნებისმიერი სიგრძის ყოფილიყო. ამ  
ზარიდან თვეების შემდეგ სწორედ ეს მშვიდი ბუნდოვანება  
გაუცოცხლდა გონებაში: პირსის სახე, სხეული, საჩუქრები,  
სიტყვები, რომლებიც ახლა გაახსენდა და მაშინ თითქოს ვერ  
გაიგონა. შემდეგ ყველაფერი დავიწყების ზღვარს მიუახლოვ-  
და. აჩრდილი ერთ წელს იცდიდა, სანამ გამოჩნდებოდა. ახლა  
კი მეცკერის წერილი მოვიდა. მაშინ პირსმა იმიტომ ხომ არ  
დარეკა, რომ მინანერის შესახებ შეეტყობინებინა? ან იქნებ  
გადანწყვიტა, ეს მოგვიანებით გაეკეთებინა, ოიდიპას გაღიზიან-  
ებისა და მუჩოს გულგრილობის გამო? ქალი გრძნობდა, რომ  
უსუსური, დაბნეული და დამცირებული იყო. არასოდეს შეუს-  
რულებია მიცვალებულის ნება და არ იცოდა, რით დაენყო. არ  
იცოდა, როგორ ეთქვა ლოს-ანჯელესელი იურისტებისთვის,  
რომ არ იცოდა, რით დაენყო.